საქართველო

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ბათუმის ხელოვნების სასწავლო

უნივერსიტეტი

Georgia

Ministry of Culture and Monuments Protection of Georgia

Legal entity of public law –

BATUMI ART TEACHING UNIVERSITY

ფაქტიური მისამართი: ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №37 ტელ/Tel: 27 98 95; 27 86 67 address: №37, Luka asatiani street, Batumi

№ 01-18/300

20 08 2015 წ.

განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
მოადგილეს
ქალბატონ თ. მახარაშვილს

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2015 წლის 11 აგვისტოს № 01500774764 წერილის საფუძველზე წარმოგიდგენთ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის 2015-2016 სასწავლო წლის სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის განაცხადის ჩასწორებულ ვარიანტს ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ დამტკიცებული ფორმით.

დანართი: 5 ფურცელი

პატივისცემით

რექტორი, პროფესორი ე. მესხია

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა:	
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება:	სსიპ
საფოსტო მისამართი და ტელეფონი, ფაქსი	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
ელფოსტა	ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის № 37; ტელ: 279895
ხელმძღვანელი პირების ჩამონათვალი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელფოსტა)	info@batu.edu.ge
საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელფოსტა)	ერმილე მესხია 593 32 57 96; ვაჩეიშვილი ქეთევანი 5899 13 74 83
სპეციალური პირობები მაგისტრანტობის კანდიდატთათვის	ვაჩეიშვილი ქეთევანი 599 13 74 83 ketevanv@gmail.com
	საშემსრულებლო საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტები აბარებენ მხოლოდ შემოქმედებით ტურს

სამაგისტრო პროგრამის დასახელება, რომელზედაც შესაბამის წელს მიხდება მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღება	სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება	მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება	აკრედიტებულია თუ ავტორიზებულია	დაფინანსება	სწავლების ენა	წლიური გადასახადი	სამაგისტრო პროგრამაზე განსაზღვრული მისაღები ადგილების რაოდენობა	სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებელი შესაბამისი ტესტის ტიპი: A ტიპის ტესტი	B ტიპის ტესტი	C ტიპის ტესტი	სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისათვის განსაზღვრული კოეფიციენტები: ჯამი	წაკითხულის გააზრება	აკადემიური წერა	ლოგიკური მსჯელობა	რაოდენობრივი მსჯელობა	უსდ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდებისთვის კოეფიციენტების განაწილება: ჯამი	გამოცდა სპეციალობაში		იდენტური კოეფიციენტების შემთხვევაში უსდ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის პრიორიტეტი
								1	2	3									
დიზაინი (მოდის დიზაინი)	ხელოვნება	დიზაინის მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	1500	5												შემოქმედებითი ტური
სამუსიკო ხელოვნება (ფორტეპიანო, აკადემიური სიმღერა, საორკესტრო)	ხელოვნება	სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	1500	11												შემოქმედებითი ტური
სამუსიკო ხელოვნება (მუსიკის თეორია, ეთნომუსიკოლოგია)	ხელოვნება	სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	1500	1	1 ·								100	100		
ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)	ჰუმანიტარული	ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	1500	3	1								100	100		

ანკეტის შევსების თარიღი 20.08.2015

რექტორი

ბ.ა.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კოდი: 130				
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება: სსიპ ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი				
ფაქტიური მისამართი და ტელეფონი ქ. ბათუმი, ლუკა ასათიანის 37				
ვებგვერდი www.batu.edu.ge				
ელ.ფოსტა info@batu.edu.ge				
საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელ.ფოსტა) ვაჩეიშვილი ქეთევანი 599 13 74 83 ketevanv@gmail.com				
სამაგისტრო პროგრამის დასახელება	მიზანი	სწავლის შედეგი	კრედიტების რაოდ.	ინფორმაცია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების შესახებ
დიზაინი (ტექსტილის დიზაინი; მოდის დიზაინი)	დიზაინის სამაგისტრო კურსი ორიენტირებულია პრაქტიკაზე, თეორიასა და მოდის აქტუალური საკითხებისა და ტენდენციების კვლევაზე. სასწავლო კურსის შესწავლისას უდიდესი ყურადღება ეთმობა ტანსაცმლის კომპოზიციის დაპროექტების კონცეპციის ჩამოყალიბებას, პროექტების შექმნასა და ვიზუალურ კვლევას, რაც უდიდეს როლს ითამაშებს სტუდენტისათვის საკუთარი შემოქმედებითი ხელწერის ჩამოყალიბებაში, იგი ორიენტირებულია აქტუალური საკითხების კვლევაზე სწავლების საშუალებით, რაც ხელს შეუწყობს მათ, შემდგომში გამოიყენონ მიღებული ცოდნა მოდის დიზაინის განვითარებასა და მასალის (ქსოვილი/კოსტიუმი) სწორად გამოყენებაში სხვადასხვა სფეროში (ინტერიერი, სცენოგრაფია, კინო, ტელევიზია და სხვ.). პროგრამის მოქნილობა სტუდენტს მუშაობის დროს საშუალებას მისცემს შექმნას საკუთარი შემოქმედემითი „ენა“. სწავლების ფორმა - ეს არის საშემსრულებლო ხელოვნებას დამატებული შემოქმედებითი კვლევები- თეორიული მასალა. ინდივიდუალური მეცადინეობები პედაგოგთან და ჯგუფური დისკუსიები სწავლების აუცილებელი შემადგენელი ნაწილია, რაც უზრუნველყოფს აუცილებელი დიალოგის წარმართვას სტუდენტებსა და პედაგოგებს შორის. პროგრამა მიზნად ისახავს მოამზადოს პროფესიონალები, რომლებიც შეძლებენ გაანალოზონ მოდის ფუნქციონალური და სოციალური ასპექტები, იმუშაონ ინტენსიურ, სწრაფადცვალებად გარემოში და შეიძინონ სრულყოფილი ცოდნა ტექსტილის/მოდის დიზაინის მიმართულებით.	ცოდნა და გაცნობიერება - მაგისტრს აქვს ტანსაცმლის დიზაინერისათვის აუცილებელი შემოქმედებით-საშემსრულებლო და თეორიული მასალის, სამეცნიერო კვლევის საფუძვლების ღრმა და სისტემური ცოდნა, რომელიც ამყარებს ბაკალავრიატის საფეხურზე მიღებულ განათლებას. შეუძლია კვლევითი და შემოქმედებითი პროექტებისათვის დასახული ამოცანების დაგეგმვა, გადაწყვეტა და დემონსტრირება. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი - აქვს დიზაინერული პროექტისათვის ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების უნარი; შეუძლია გამოიყენოს დარგის/ქვედარგის სპეციფიკისათვის დამახასიათებელი თეორიულ–პრაქტიკული უნარების ფართო სპექტრი. აქვს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და პრობლემის გადაჭრის უნარი. შეუძლია შემოქმედებითი ხასიათის პროექტის განხორციელებისათვის პრაქტიკული გზების მოძიება, დაგეგმვა და შესრულება. შეუძლია სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოს დაგეგმვა-შესრულება. დასკვნის უნარი - შეუძლია შემოქმედებითი და ტექნოლოგიური პრობლემების გადასაჭრელად ინფორმაციის მოძიება და ცნობილი წყაროებით სარგებლობა. აქვს შეფასების, კომპლექსური სიტუაციების ანალიზის, ეფექტური გადაწყვეტილებების მიღების უნარი და ამის საფუძველზე შეუძლია სამუშაოს დაგეგმვა-შესრულება და დასკვნის გაკეთება. კომუნიკაციის უნარი - არის კომუნიკაბელური, იცნობს გუნდური მუშაობის პრინციპებს, აქვს ცოდნის, სწავლის მუდმივი განახლების და კრიტიკული აზროვნების უნარი. იცნობს და იყენებს თანამედროვე საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს დიზაინის სფეროსათვის დამახასიათებელი ამოცანის მისაღწევად. შეუძლია ესთეტიკური ნორმების დაცვით სპეციალისტებთან და არასპეციალისტებთან ქართულ ენაზე კომპეტენტური კომუნიკაცია, პროფესიულ დისკუსიებში მონაწილეობა. საკომუნიკაციო დონეზე ფლობს ინგლისურ ენას. სწავლის უნარი - აქვს უნარი თავად დაგეგმოს სწავლის სტრატეგია, აქვს თვითგანათლების, სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარი. შეუძლია პროფესიული საქ-მიანობის შეფასება და უწყვეტი პროფესიული განვითარების საჭიროებების განსაზღვრა. ღირებულებები - კურსდამთავრებულს გააზრებული აქვს მოდის დიზაინის როლი თანამედროვე დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების კონტექსტში და ასევე მისი მნიშვნელობა თანამედროვე დიზაინის ფორმირების პროცესში, აქვს პროფესიული ეთიკის სტანდარტი.	120	დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2013 წლის 24 ივნისი № 04-01/44 დადგენილებით. აკრედიტებულია - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 10 ივნისის № 118 გადაწყვეტილებით

სამუსიკო შემსრულებლობა (ფორტეპიანო; აკადემიური სიმღერა; საორკესტრო)	პროგრამა გამიზნულია შემსრულებლისა და პედაგოგის, ფაქტობრივად, ახალი სტატუსის მქონე სპეციალისტის ჩამოსაყალიბებლად, რაზეც, დღევანდელი საერთაშორისო და ეროვნული სტანდარტების მიხედვით, დიდი მოთხოვნილებაა.პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე პედაგოგიკასა და საშემსრულებლო ხელოვნებაში დამკვიდრებული ტენდენციების შესწავლას და მათ პრაქტიკაში გამოყენებას. მომავალმა მაგისტრებმა თავი უნდა მოსინჯონ თეორიულ ანალიზსა და კვლევებში, პედაგოგიურ პრაქტიკაში, საკონცერტო გამოსვლებში.	•კურსდამთავრებულს ფლობს საშემსრულებლო ხელოვნების საფუძვლიან ცოდნას; • გააზრებული აქვს მისი სპეციალობის არსი; •აქვს სხვადასხვა ჟანრისა და სტილის მუსიკალური ნაწარმოებების საკონცერტო სოლო/ანსამბლური შესრულების გამოცდილება; • აქვს საანსამბლო მუსიკირების ფორმების შესრულების ცოდნა; • საფუძვლიანად იცნობს საშემსრულებლო რეპერტუარს; • აქვს სამუსიკო ხელოვნების შესაბამისი სპეციალობის უახლესი შემოქმედებით-მიღწევებზე ორიენტირებული ღრმა და სისტემური ცოდნა; • აქვს სამეცნიერო კვლევის საფუძვლების სისტემური ცოდნა; • აქვს სამუსიკო პედაგოგიკისა და ფსიქოლოგიის, ასევე პრაქტიკული პედადოგიკის ცოდნა. კურსდამთავრებულს აქვს აქვს უნარი მოამზადოს და მაღალ პროფესიულ დონეზე შეასრულოს სხვადასხვა ეპოქისა და სტილის საკონცერტო პროგრამა; •აქვს სხვადასხვა ეპოქისა და მუსიკის სტილისტურ თავისებურებებში დამოუკიდებლად გარკვევის და გააანალიზების უნარი; • შეუძლია შემოქმედებით-პრაქტიკული ხასიათის სამუშაოს შესრულება ხელმძღვანელის წინასწარ განსაზღვრული რეკომენდაციების მიხედვით; •შეუძლია მხატვრული და საორგანიზაციო ამოცანების დასახვა და მათი განხორციელებისათვის პრაქტიკული გზების მოძიება; • აქვს პედაგოგობის უნარი; • აქვს სხვადასხვა ეპოქისა და სტილის მუსიკის ჟანრულ და ენობრივი თავისებურებებზე პროფესიული მსჯელობის უნარი; პროგრამის კურსდამთავრებულს აქვს ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ სამაგისტრო ნაშრომის დაწერის და დაცვის უნარი; •აქვს მომდევნო საფეხურზე (დოქტორანტურა) სწავლის გაგრძელებისთვის საჭირო ცოდნა და უნარი. •აქვს შემოქმედებითი პრობლემების ანალიზის და დამოუკიდებლად მათი გადაწყვეტის უნარი; •აქვს შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების უნარი, შეუძლია საკუთარი და სხვისი შემოქმედების შეფასება; •შეუძლია საშემსრულებლო ხელოვნების თანამედროვე პრინციპების გააზ-რება და გაზიარება; • აქვს განზოგადების, ანალიზის, კრიტიკული გააზრების, სისტემატი-ზაციის, პროგნოზირების უნარი. • კურსდამთავრებულს აქვს მუსიკალურ-შემოქმედებით კოლექტივებში და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ურთიერთგაგების საფუძველზე მუშაობის უნარი; • შეუძლია საზოგადოებრივ დისკუსიებში მონაწილეობა; •აქვს უნარი კომუნიკაცია დაამყაროს შემოქმედებით ორგანიზაციებთან; •ასევე შემოქმედებითი კავშირების დამყარების მიზნითი შემოქმედებით ურთიერთობის უნარი; •აქვს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან კომუნიკაციის უნარი. •აქვს სპეციფიური მუსიკალური მონაცემები, რაც შემოქმედებით სფეროში ახალი ცოდნის მიღების საშუალებას აძლევს.; •შეუძლია შემოქმედებითი სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულება. სასწავლო პროცესის და საკუთარ თავზე მუშაობის განრიგის დაგეგმვა; • აქვს სწავლი პროცესის თავისებურებების გაცნობიერების და სტრატე-გიულად დაგეგმვის უნარი; • აცნობიერებს პროფესიულ პასუხისმგებლობას. შეუძლია განსაზღვროს მისი, როგორც მომავალი პედაგოგის უნარები. •აქვს საზოგადოებაში მიღებული მორალურ-ეთიკური და სამართ-ლებრივი სოციალური ურთიერთობების ნორმების დაცვის უნარი; • იჩენს პატივისცემას მუსიკალური მემკვიდრეობის და კულტურული ტრადიციების მიმართ.	120	დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2013 წლის 24 ივნისი № 04-01/44 დადგენილებით. აკრედიტებულია - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 10 ივნისის 119 გადაწყვეტილებით

სამუსიკო ხელოვნება (მუსიკის თეორია, ეთნომუსიკოლოგია)	პროგრამა მიზანია მუსიკის თეორიისა და ეთნომუსიკოლოგიის მაგისტრის ხარისხის მკვლევარის მომზადება. პროგრამა მიზნად ისახავს თანამედროვე პედაგოგიკასა და სამუსიკო ხელოვნებაში დამკვიდრებული ტენდენციების შესწავლას და მათ პრაქტიკაში გამოყენებას. მომავალმა მაგისტრებმა თავი უნდა მოსინჯონ თეორიულ ანალიზსა და კვლევებში, პედაგოგიურ პრაქტიკაში..	მუსიკის თეორიის კურსდამთავრებული ფლობს მუსიკის თეორიის საფუძვლიან ცოდნას; აქვს სხვადასხვა ჟანრისა და სტილის მუსიკალური ნაწარმოებების გაანალიზების გამოცდილება; კურსდამთავრებულს აქვს ფოლკლორის თეორიული და პრაქტიკული ცოდნა; აქვს ეთნომუსიკოლოგიის ძირითადი თეორიებისა და კონცეფციების, ქართული ხალხური სიმღერის შემსრულებლობის ზოგადი თეორიული ცოდნა; ქართული ხალხური საკრავების შესახებ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა; მსოფლიოს ხალხთა მუსიკალური ფოლკლორის სფეროში საფუძვლიანი თეორიული ცოდნა; აქვთ მომიჯნავე დარგების- ქართული ეთნოგრაფიის, დიალექტოლოგიის, საეკლესიო მუსიკის საფუძვლების ცოდნა. სამეცნიერო კვლევის საფუძვლების სისტემური ცოდნა; ასევე ფლობს ცოდნას სამუსიკო პედაგოგიკასა და ფსიქოლოგიაში. გაანალიზებული აქვს თანამედროვე ეროვნული და უცხოური სასწავლო სისტემები, სამუსიკო განათლების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები. სტუდენტს აქვს უნარი პროფესორობის ხელმძღვანელობით მოამზადოს და დაიცვას სამაგისტრო ნაშრომი; შუძლია განსხვავებული სტილისა და ეპოქის ნაწარმოებების გაანალიზება და საკუთარი აზრის ჩამოყალიბება. დამოუკიდებლად შეუძლია ინფორმაციის მოპოვება და სამეცნიერო კვლევის ჩატარება; სამეცნიერო კონფერენციებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობის მიღება; შეუძლია ითანამშრომლოს მედიასთან, დაწეროს კრიტიკული სტატიები და რეცენზიები. გააშუქოს მუსიკალური მოვლენები. ეთნომუსიკოლოგიის მაგისტრი შეძლებს სამეცნიერო ექსპედიციების მომზადებას და მოძიებული მასალის მეცნიერულ დამუშავებას. აქვს კრიტიკული აზროვნების უნარი, შეუძლია საკუთარი და სხვის მიერ დაწერილი სამეცნიერო კვლევის მასალების შეფასება; დამოუკიდებლად შეუძლია ინოვაციური მეთოდების და კონცეფციების გამოყენება პრობლემების გადასაჭრელად; დამოუკიდებლად შეუძლია მუსიკისმცოდნეობის დარგის თანამედროვე მეთოდებით სარგებლობა; კვლევის პროცესში აქვს პრობლემების განზოგადების, ანალიზის და მათი გადაწყვეტის უნარი.კურსდამთავრებულს აქვს მუსიკალურ-შემოქმედებით კოლექტივებში და საგანმანათლებლო დაწესებულებებში ურთიერთგაგების საფუძველზე მუშაობის უნარი; შეუძლია საზოგადოებრივ დისკუსიებში მონაწილეობა; აქვს უნარი კომუნიკაცია დაამყაროს შემოქმედებით ორგანიზაციებთან; აქვს კომპეტენტური მსჯელობის უნარი საკუთარი და მომიჯნავე სპეციალობების პროპაგანდისა და პოპულარიზაციის მიზნით. აქვს მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან კომუნიკაციის უნარი.შეუძლია შემოქმედებითი და კვლევითი სამუშაოს დამოუკიდებლად შესრულება. სასწავლო პროცესის და საკუთარ თავზე მუშაობის განრიგის დაგეგმვა; აქვს სწავლის პროცესის თავისებურებების გაცნობიერების და სტრატეგიულად დაგეგმვის უნარი; აქვს სპეციფიური მუსიკალური მონაცემები, რაც შემოქმედებით სფეროში ახალი ცოდნის მიღების საშუალებას აძლევს.; აქვს უნარი თავად წარმართოს კვლევა; აქვს ექსპედიციების დაგეგმვის, გამგზავრების, ფოლკლორული ნიმუშების მოკვლევის და გაანალიზების უნარი;აცნობიერებს პროფესიულ პასუხისმგებლობას. შეუძლია განსაზღვროს მისი, როგორც მომავალი პედაგოგის უნარები. აქვს საზოგადოებაში მიღებული მორალურ-ეთიკური და სამართლებრივი სოციალური ურთიერთობების ნორმების დაცვის უნარი; იჩენს პატივისცემას მუსიკალური მემკვიდრეობის და კულტურული ტრადიციების მიმართ.	120	დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2013 წლის 24 ივნისი № 04-01/44 დადგენილებით. აკრედიტებულია - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 10 ივნისის 120 გადაწყვეტილებით

ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)	ხელოვნების ისტორიისა და თეორიის პროგრამის მიზანია: მისცეს სტუდენტს ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა ქართული ხელოვნების ისტორიაში. გაიაზროს ძველი და თანამედროვე ქართული არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების თვითმყოფადობის, იდენტობის საკითხები შესაბამისი პერიოდის მსოფლიო კულტურებთან მიმართებაში. მოამზადოს სპეციალისტები, რომლებიც შეძლებენ ხელოვნებათმცო-დნეობითი კვლევის ჩატარებას, ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების გაანალიზებას, ინტერდისციპლინურ კვლევებში მონაწილეობის მიღებას, ხელოვნების ნაწარმოებთა ადეკვატურ შეფასებას, შესწავლას, კვლევის შედეგების მეცნიერებაში შემოტანას. პროგრამა სტუდენტს სთავაზობს ორ მოდულს: ძველი ქართული ხელოვნების ისტორია; თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორია. ძველი ქართული ხელოვნების ისტორიის მოდულის მიზანია: ძველი ქართული არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების დარგების განვითარების, მხატვრული ამოცანების ღრმა და სისტემური შესწავლა. ქართული ხელოვნების, იდეური და საღვთისმეტყველო საფუძვლების გააზრება ეპოქის ისტორიულ კონტექსტში. ძველი ქართული ხელოვნების დარგების მხატვრული ამოცანების, სახვითი ენის თავისებურებების გააზრება თანადროული ხანის მსოფლიო და ქართული კულტურის მოვლენებთან მიმართებაში. ხელოვნების ნაწარმოების იდეურ-მხატვრული და სტილისტური ანალიზის, პრობლემის ისტორიულ-კულტურულ ჭრილში განხილვის, კვლევითი უნარების გაღრმავება. თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორიის მოდულის მიზანია: ახალი და უახლესი ქართული ხელოვნების ისტორიის პრობლემების საფუძვლიანი შესწავლა მსოფლიო კულტურის მოვლენებთან კონტექსტში. ახალი და თანამედროვე არქიტექტურისა და სახვითი ხელოვნების დარგების ისტორიული განვითარების, მხატვრული ძიებების, სტილისტური ტენდენციების შეფასება თანამედროვე მსოფლმხედველობით. ქართულ ხელოვნებაში მიმდინარე პროცესების ანალიზის, მოვლენათა კულტურულ-ისტორიული ჭრილში შესწავლის უნარების დაუფლება. ისეთი სპეციალისტების ჩამოყალიბება, რომლებიც შეძლებენ თანამედროვე ხელოვნების პოპულარიზაციას, ტრადიციისა და თანამედროვეობის ურთიერთ-მიმართების წარმოჩენას.	აქვს ღრმა და სისტემური ცოდნა ხელოვნების ისტორიის განვითარების, მხატვრულ-ისტორიული კანონზომიერებების შესახებ; აქვს ხელოვნების ნაწარმოების აღწერის, ანალიზისა და კვლევის უნარი, იცის ხელოვნებათმცოდნეობის დარგის სპეციფიკა, კვლევის პრინციპები. იცის ქართული ხელოვნების თვითმყოფადობა, თავისებურებები და მისი მიმართება შესაბამის ისტორიულ გარემოსთან; იცის ქართული ხელოვნების მნიშვნელობა მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში; აქვს ნამუშევრის, ისტორიული ეპოქის მხატვრულ-ისტორიული ღირებულების განსაზღვრისა და ანალიზის უნარი; იცის კულტურის სამართლის ნორმატიული საფუძვლები. იცის თანამედროვე პედაგოგიკისა და სწავლა/სწავლების ახალი ტექნოლოგიები. ხელოვნების ფილოსოფიის ასპექტები. აქვს სამუზეუმო საქმის, მუზეუმის მენეჯმენტის თეორიულ-პრაქტიკული პრინციპების ცოდნა. მოდული: ძველი ქართული ხელოვნების ისტორია: აქვს საფუძვლიანი ცოდნა უძველესი და ანტიკური პერიოდის, შუა საუკუნეების არქიტექტურის, კედლის მხატვრობის, რელიფური ქანდაკების, მინიატურის და სხვა საკითხების შესახებ. ფლობს ცოდნას იმ რელიგიური თუ ისტორიული კონტექსტების შესახებ, რაშაც განაპირობა თვითმყოფადი ქართული ხელოვნების ჩამოყალიბება და განვითარება. გაცნობიერებული აქვს ძველი ქართული ხელოვნების მნიშვნელობა მსოფლიო კულტურის კონტექსტში. იცის ძველი ქართული ხელოვნების იდეურ-მხატვრული, საღვთისმეტყველო საფუძვლები. მოდული: თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორია: აქვს საფუძვლიანი ცოდნა XIX-XX საუკუნეების მსოფლიო და ქართული ხელოვნების ისტორიისა და თეორიის აქტუალური პრობლემების ირგვლივ. შეუძლია ქართული ხელოვნების უმნიშვნელოვანეს მოვლენათა გააზრება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში; ფლობს ღრმა ცოდნას ხელოვნებათმცოდნეობითი სფეროს სპეციფიკის, შეფასების კრიტერიუმების, მხატვრული ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლებისა და მათი სამეცნიერო–პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების მხრივ. გააჩნია ხელოვნების ისტორიის საკითხების, მხატვრული ნიმუშების შესახებ მასალების შეგროვების, ინფორმაციის მოპოვების, დასაბუთებული განმარტების უნარი; აქვს ხელოვნებათმცოდნეობითი ლიტერატურის შერჩევის, დამუშავების და პრაქტიკაში გამოყენების, ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევისა და მოხსენების წარმოდგენის უნარი. შეუძლია ხელოვნების ნიმუშების, მხატვრული მოვლენისა თუ პრობლემის მხატვრულ-სტილისტური მეთოდით შესწავლა; შეუძლია ნამუშევრის მხატვრული ღირებულების განსაზღვრა, ანალიზი და მიღებული ცოდნის საფუძველზე კვლევითი ნაშრომის შექმნა. შეუძლია ინტერდისციპლინურ კვლევებში მონაწილეობის მიღება. აქვს ხელოვნებათმცოდნეობითი სფეროს სპეციფიკის, შეფასების კრიტერიუმების, მხატვრული ანალიზის მეთოდოლოგიური საფუძვლებისა და მათი სამეცნიერო–პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების უნარი. მოდული: ძველი ქართული ხელოვნების ისტორია: შეუძლია შუა საუკუნეების ხელოვნების ნიმუშების, აქტუალური პრობლემების კვლევა ქრისტიანულ სამყაროსთან კონტექს–ტში. გააჩნია უძველესი და შუა საუკუნეების ქართული არქიტექტურის, კედლის მხატვრობის, რელიფური ქანდაკების, მინიატურის და სხვა საკითხების ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის უნარი. შეუძლია მსჯელობა ხელოვნების მხატვრული პრობლემების, რელიგიური, მსოფლმხედველობრივი, ისტორიული კონტექსტების შესახებ. შეუძლია ძველი ქართული ხელოვნების იდეურ-მხატვრული, საღვთისმეტყველო საფუძვლების წარმოჩენა და ანალიზი. მოდული: თანამედროვე ქართული ხელოვნების ისტორია: მიღებული ცოდნის საფუზველზე გააჩნია XIX-XX საუკუნეების ქართული და მსოფლიო ხელოვნების ისტორიისა და თეორიის აქტუალური პრობლემების გამოკვეთისა და ანალიზის უნარი. შეუძლია თანამედროვე ქართული ხელოვნების უმნიშვნელოვანეს მოვლენათა გააზრება მსოფლიო ხელოვნების კონტექსტში; შეუძლია კონკრეტული ეტაპის ნამუშევრის მხატვრული ღირებულების განსაზღვრა, ანალიზი, კრიტიკული შეფასება, კვლევა, პოპულირაზიაცია. შეუძლია ხელოვნების ისტორიის კონკრეტული ეპოქის ძირითადი პრობლემების გამოკვეთა და შეფასება; ნამუშვრის ისტორიულ კონტექსტში გააზრება, მხატვრული თავისებურებების წარმოჩენა, ანალიზი და არგუმენტირებული დასკვნების გამოტანა. გააჩნია სახელოვნებათმცოდნეო კვლევების კრიტიკული ანალიზის, ინფორმაციების სინთეზის უნარი. შეუძლია აზრის ზეპირი და წერილობითი ფორმით წარმოდგენა. გააჩნია პროფესიულ და ფართო აუდიტორიასთან კომუნიკაციის უნარი. გააჩნია საჯარო გამოსვლების, სამეცნიერო ნაშრომის შექმნის უნარი, პრეზენტაციის წარმართვის უნარი. შეუძლია საკუთარი სასწავლო პროცესის ორგა–ნი–ზება, დროის ეფექტურად გამოყენება. აქვს ხელოვნების ისტორიის პრობლემათა გაარ–ჩე–ბის, ანალიტიკური ცოდნის გაღრმავების უნარი. შეუძლია სწავლა გააგრძელოს დოქტორანტურის საფეხურზე.	120	დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2013 წლის 24 ივნისი № 04-01/44 დადგენილებით. აკრედიტებულია - საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2014 წლის 10 ივნისის 121 გადაწყვეტილებით

ანოტაციის შევსების თ
შენიშვნა:

20.08.2015

რექტორი

საქართველო
საქართველოს კულტურისა და ძეგლთა
დაცვის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ბათუმის ხელოვნების სასწავლო
უნივერსიტეტი

Georgia
Ministry of Culture and Monuments
Protection of Georgia
Legal entity of public law –
BATUMI ART TEACHING
UNIVERSITY

ფაქტიური მისამართი: ბათუმი, ლუკა ასათიანის ქ. №37 ტელ/Tel: 27 98 95; 27 86 67 address: №37, Luka asatiani street, Batumi

№ 01-18/75

19 02 2015 წ.

განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორს
ბატონ გ. შარვაშიძეს

ბატონო გიორგი,

წარმოგიდგენთ სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის 2015-2016 სასწავლო წლის სამაგისტრო პროგრამებზე მისაღები კონტინგენტის განაცხადს ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ დამტკიცებული ფორმის ჩასწორებულ ვარიანტს.

გთხოვთ, მხედველობაში არ მიიღოთ ჩვენს მიერ 2015 წლის 16 თებერვალს გამოგზავნილი № 01-18/68 წერილის ანკეტა-კითხვარი.

დანართი: 6 ფურცელი

პატივისცემით

რექტორი, პროფესორი ე. მესხია

გვერდი№1

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლებრივი ფორმა:	სსიპ
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სრული დასახელება:	სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი
საფოსტო მისამართი და ტელეფონი, ფაქსი	ქ. ბათუმი, ლ. ასათიანის № 37; ტელ: 279895
ელფოსტა	info@batu.edu.ge
ხელმძღვანელი პირების ჩამონათვალი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელფოსტა)	ერმილე მესხია 593 32 57 96; ვაჩეიშვილი ქეთევანი 5899 13 74 83
საკონტაქტო პირი (გვარი, სახელი, ტელეფონი, ელფოსტა)	ვაჩეიშვილი ქეთევანი 599 13 74 83 ketevanv@gmail.com
სპეციალური პირობები მაგისტრანტობის კანდიდატთათვის	საშემსრულებლო საგანმანათლებლო პროგრამებზე აბიტურიენტები აბარებენ მხოლოდ შემოქმედებით ტურს

სამაგისტრო პროგრამის დასახელება, რომელზედაც შესაბამის წელს მოხდება მაგისტრანტობის კანდიდატთა მიღება	სამაგისტრო პროგრამის შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება	მისანიჭებელი კვალიფიკაციის დასახელება	აკრედიტებულია თუ ავტორიზებულია	დაფინანსება	სწავლების ენა	წლიური გადასახადი	სამაგისტრო პროგრამაზე განსაზღვრული მისაღები ადგილების რაოდენობა	სამაგისტრო პროგრამაზე ჩასაბარებელი შესაბამისი ტესტის ტიპი: A ტიპის ტესტი	B ტიპის ტესტი	C ტიპის ტესტი	სამაგისტრო გამოცდის ტესტის ნაწილებისათვის განსაზღვრული კოეფიციენტები: ჯამი	წაკითხულის გააზრება	ანალიტიკური წერა	ლოგიკური მსჯელობა	რაოდენობრივი მსჯელობა	უსდ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდებისთვის კოეფიციენტების განაწილება: ჯამი	გამოცდა სპეციალობაში		იდენტური კოეფიციენტების შემთხვევაში უსდ-მიერ განსაზღვრულ გაოცდის პრიორიტეტი
								1	2	3									
დიზაინი (მოდის დიზაინი)	ხელოვნება	დიზაინის მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	1500	3												შემოქმედებითი ტური
სამუსიკო შემსრულებლობა (ფორტეპიანო, აკადემიური სიმღერა, საორკესტრო)	ხელოვნება	სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	1500	9												შემოქმედებითი ტური
სამუსიკო ხელოვნება (მუსიკის თეორია, ეთნომუსიკოლოგია)	ხელოვნება	სამუსიკო ხელოვნების მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	1500	1	1								100	100		
ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა)	ჰუმანიტარული მეცნიერებანი	ხელოვნებათმცოდნეობის მაგისტრი	აკრედიტებულია	ფინანსდება	ქართული	1500	3	1								100	100		

ანკეტის შევსების თარიღი 19.02.2015

რექტორი

ბ.ა.

245628496